ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები ტირ-პარკებისთვის და იმ ბენზინგასამართი სადგურების მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც ხდება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლების გაჩერება

მოთხოვნები იმ ბენზინგასამართი სადგურების მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც ხდება საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლების გაჩერება:

- ვირუსის გავრცელების რისკის შემცირების მიზნით, ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლების საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელ მძღოლებთან ურთიერთობა მოხდეს უკონტაქტოდ ისე, რომ მძღოლი არ ჩამოვიდეს სატვირთო მანქანიდან;
- აუცილებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლი უფლებამოსილია ავტომობილიდან გადმოსვლისას აღიჭურვოს პირბადითა და ერთჯერადი ხელთათმანებით;
- ყოველი მძღოლის მომსახურების შემდგომ მოხდეს ბენზინგასამართი სადგურის პერიმეტრზე განთავსებული ბანკომატების, მაღაზიების და სხვა მომსახურების სერვისებისთვის განკუთვნილი სივრცეების, აპარატების დასუფთავება/დეზინფექცია შესაბამისი წესით;
- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში ჩართული მძღოლებისთვის ბენზინგასამართ სადგურებზე არსებული საშხაპეების გამოყენება აკრძალულია;
- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებში ჩართული ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უნაღდო ანგარიშსწორებას. მომსახურების გაწევისას, პერსონალი აღჭურვილი უნდა იყოს პირბადითა და ერთჯერადი ხელთათმანებით. მომსახურების დასრულებისთანავე, პერსონალი ვალდებულია, დადგენილი წესის შესაბამისად, მოიხსნას პირბადე და ხელთათმანი, რომელიც უნდა განათავსოს ნარჩენებისთვის განკუთვნილ დახურულ კონტეინერში, ხოლო ხელის დეზინფექცია ჩაიტაროს არანაკლებ 70% სპირტის შემცველი სადეზინფექციო ხსნარის საშუალებით.

ტირ-პარკების საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ერთიან შესასვლელთან, უზრუნველყავით თერმოსკრინინგი ვიდეოსკრინინგის ან ტემპერატურული დისტანციური მზომი ხელსაწყოს გამოყენებით, რათა ყოველ დღე (თითოეული ვიზიტორის შემოსვლისას) გააკონტროლოთ პერსონალის/ვიზიტორების ჯანმრთელობა მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში მოახდინეთ აღრიცხვა და დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ ხაზს;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- ობიექტზე უზრუნველყავით ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირის მიერ გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
- უზრუნველყავით საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი პირებისთვის განთავსების საშუალებები შემდეგი პრინციპით - ერთი დასასვენებელი სათავსი მხოლოდ ერთი ვიზიტორისთვის;

- აიკრძალოს ტირ-პარკზე მომსახურე პერსონალისა და მძღოლების გარდა, სხვა პირთა დაშვება.

მოთხოვნები ტირ-პარკის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა ნაგებობისთვის:

- უზრუნველყავით დღეში რამდენჯერმე (ყოველ 2 საათში 15 წუთით) დახურული სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაციის მომატებული უწყვეტი რეჟიმი, გარე სივრციდან ჰაერის შემოტანის გაზრდილი კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით; დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- საერთო გამოყენების სველი წერტილებით სარგებლობისას, ყოველი გამოყენების შემდგომ მოხდეს მისი დეზინფექცია ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესაბამისად;
- მომსახურე პერსონალი და ვიზიტორები უზრუნველყავით სათანადო კოლექტიური დაცვის საშუალებებით:
- დეზობარიერი - ყველა დახურული სათავსის დამოუკიდებელ შესასვლელში, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- დამცავი გამჭვირვალე ბარიერები - თანამშრომლების მესამე პირებთან ურთიერთობის შემთხვევაში (მიმღებში, ბართან, სალაროსთან და ა.შ);
- დასაქმებულთა და ვიზიტორთათვის თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განათავსეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ჰიგიენური საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;
- უზრუნველყავით დასასვენებელი სივრცის მთელ ტერიტორიაზე ზედაპირების დასუფთავება/დეზინფექცია სათანადო წესით (დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 3-ჯერ), ასევე ყოველ 2-საათში ერთხელ ყველა იმ ზედაპირის დამუშავება, რომელთანაც ხშირად შეხება უწევთ ვიზიტორებს ან სივრცეში მყოფ პირებს (მათ შორის კარის და ფანჯრის სახელურები, კიბის მოაჯირები, ლიფტის ღილაკები და სხვა ხშირად შეხებადი ზედაპირები);
- დასასვენებელი სივრცის საერთო მოხმარების სათავსებში დაიცავით დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
- აიკრძალოს ტირ-პარკების ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებში არსებულ საძინებლებში სტუმრის განთავსება;
- მომსახურების გაწევამდე, ტირპარკის ადმინისტრაცია ვალდებულია აწარმოოს იმ ვიზიტორების აღრიცხვა, რომლებიც ასეთი დაწესებულებიდან ღებულობენ სერვისს. რეკომენდირებულია ტირპარკში დასაქმებული პერსონალისთვის დადგენილი იყოს ცვლაში მუშაობის რეჟიმი. იმ შემთხვევაში, თუ ცვლებს შორის არსებული დრო შეადგენს არანაკლებ 72 სთ, განხორციელდეს ტირპარკში დასაქმებული პერსონალის ტესტირება სწრაფი ტესტის მეშვეობით.

ღონისძიებები კვებით უზრუნველყოფის ბლოკებისთვის:

- გამოიყენეთ ინდივიდუალური გამასპინძლების მეთოდი. შვედური მაგიდის გამოყენების შემთხვევაში, პერსონალის მომხმარებლებთან კონტაქტის შემცირების მიზნით, უზრუნველყავით დამცავი გამჭვირვალე ბარიერის მონტაჟი შვედურ მაგიდასთან. ბარიერთან უზრუნველყავით უსაფრთხო დისტანციის დაცვა, შესაბამისი მანიშნებლებით;
- საკვებთან ერთად ბარიერს მიღმა განათავსეთ გამოსაყენებელი ჭურჭელი (უპირატესობა მიანიჭეთ ერთჯერად ჭურჭელს);
- მძღოლებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ ბეჭდური (ერთჯერადი) მენიუ;
- გამოიყენეთ მაგიდის ერთჯერადი გადასაფარებლები, ან არ გამოიყენოთ ისინი, რადგან სასადილო მაგიდების წმენდა და დეზინფექცია ყოველი მოხმარების შემდგომ უფრო მოსახერხებელი და ჰიგიენურად კეთილსაიმედოა;
- სასმელებით მომსახურების სივრცეში (ბარი), ბარმენებთან მომხმარებლების პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, სასმელით მომსახურება უზრუნველყავით ინდივიდუალურად, მაგიდასთან მიტანის სერვისით;

- ბარის მაგიდა აღჭურვეთ დამცავი გამჭვირვალე ბარიერით;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა და ვიზიტორთა ხელის ჰიგიენა: წყლითა და თხევადი საპნით. გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცები.

მოთხოვნები ტირ-პარკის ტერიტორიაზე არსებული ღია სივრცის მქონე საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის:

- მომხმარებელთა მაგიდებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
- სკამების საზურგეებს შორის - მანძილი არანაკლებ 1 მეტრისა;
- ერთ მაგიდასთან მოათავსეთ არა უმეტეს 2 ადამიანისა.

მოთხოვნები ტირ-პარკის ტერიტორიაზე არსებული დახურული სივრცის მქონე საზოგადოებრივი კვების ობიექტების მიმართ:

- დარბაზში უზრუნველყავით მაგიდების და დასაჯდომი ადგილების განლაგება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
- მაგიდებს შორის დაიცავით უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრისა;
- ერთ მაგიდასთან განთავსებულ მომხმარებლებს შორის უზრუნველყოფილი უნდა იყოს არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
- ერთ მაგიდასთან მოათავსეთ არა უმეტეს 2 მომხმარებლისა;
- დახურული სათავსები უზრუნველყავით ბუნებრივი ვენტილაციით. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაცია, გარედან შემოსული ჰაერის მომატებული კონცენტრაციით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- გამოიყენეთ ინდივიდუალური გამასპინძლების მეთოდი;
- უზრუნველყავით სტუმრებისთვის ბეჭდური (ერთჯერადი) მენიუს შეთავაზება;
- სასმელებით მომსახურების სივრცეში (ბარი), ბარმენებთან მომხმარებლების პირდაპირი კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, სასმელით მომსახურება უზრუნველყავით ინდივიდუალურად, მაგიდასთან მიტანის სერვისით.

ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნას შემდეგი პროცედურები:

- სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრობა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში, შემდეგნაირად:
- ჭურჭელი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
- გაირეცხოს არანაკლებ 40ºC ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
- გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ 40ºC ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხი საშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
- გაივლოს არანაკლებ 65ºC ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
- წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ უნდა გაშრეს. სამზარეულოს ჭურჭელი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით. ჭურჭელი უნდა გაივლოს არანაკლებ 65ºC-იან ცხელ წყალში და დაიწრიტოს;
- ხელით რეცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისთვის და ორგანყოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობისათვის. დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანყოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში;
- ლუდის ბარებში ჭიქები და ბოკლები ირეცხება არანაკლებ 45-50ºC ტემპერატურის ცხელი წყლითა და სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით;
- სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

სამზარეულოს პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები:

- ერთჯერადი სამედიცინო ნიღაბი;
- სპეც-ფორმა და ზემოდან ერთჯერადი ხალათი, სრული სახელოებით;
- სპეციალური/სქელი ხელთათმანი (მრავალჯერადი);
- თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი);
- დახურული სპეცფეხსაცმელი.

თეთრეულის ჰიგიენური რეჟიმის დაცვის წესი:

- თეთრეული გამოიცვალოს საჭიროების მიხედვით;
- ნახმარი თეთრეულის შეგროვება მოხდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ ტომარაში ან სხვა თავდახურულ მოცულობაში. კატეგორიულად იკრძალება გამონაცვალი თეთრეულის იატაკზე მოგროვება, დაბერტყვა, შეფუთვის გარეშე ტრანსპორტირება;
- თეთრეულის (ასევე, პირსახოცების) რეცხვა განხორციელდეს დაწესებულების სამრეცხაოში ან სპეციალურ სამრეცხაოებში ხელშეკრულების საფუძველზე. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, აუცილებელია თეთრეულის რეცხვის მთელი ციკლისათვის (მიღება, დახარისხება, რეცხვა, გაშრობა, გაუთოვება, დასაწყობება, შენახვა და გაცემა) დამოუკიდებელი ტექნოლოგიური ხაზის არსებობა;
- თუ თეთრეულის მართვისთვის გამოიყენება გარე მომსახურება, გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ეტაპები:
- თეთრეულის შეკრება;
- ტრანსპორტირება;
- რეცხვა და დეზინფექცია;
- დაუთოება;
- შეფუთვა;
- სუფთა თეთრეულის შენახვა;
- სამრეცხაოში თეთრეულის დასამუშავებლად უზრუნველყავით ტექნოლოგიური პროცესების ნაკადურობა, რათა გამოირიცხოს ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის ნაკადების გადაკვეთა. თუ დაწესებულებაში ვერ ხერხდება ჭუჭყიანი და სუფთა თეთრეულის მოძრაობის ნაკადების სრული გამიჯვნა, მაშინ შესაძლებელია მისი შეფუთვა გასაცემად;
- დაბინძურების ხარისხისა და თეთრეულის ტიპის მიხედვით შეირჩეს რეცხვის შესაბამისი პროგრამა. COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს რეცხვის არანაკლებ 60^{0}C ტემპერატურა და სათანადო სარეცხი ფხვნილის კომბინაცია. აღნიშნული ტემპერატურული რეჟიმის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში, რეცხვა წარმოებს შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით (მაგ., 0,5 %-იანი ქლორშემცველი ხსნარი) დეკონტამინაციის შემდეგ.

<u>შენიშვნა:</u> ტირ-პარკის ტერიტორიაზე <u>არ არის</u> <u>ნებადართული</u> **დასასვენებელ სივრცეში განთავსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ან/და გასართობი ცენტრების ფუნქციონირება.**

უსაფრთხოების დამატებითი ზომები დალაგების დროს

- დალაგებისას, დაასუფთავეთ ჯერ შედარებით სუფთა, შემდეგ უფრო დაბინძურებული არეები;
- დაუშვებელია მშრალი დაგვა და მტვრის გადაწმენდა, რათა თავიდან ავიცილოთ მტვრისა და მიკროორგანიზმების მოხვედრა ჰაერში და სუფთა ზედაპირებზე;
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასუფთავებას, (მაგალითად, საწოლის სახელურები, ტუმბო საწოლის გვერდით) და ხშირად დაბინძურებადი სივრცეების სანიტარიული კვანძი (საშხაპე/სააბაზანო და ტუალეტი) ზედაპირების დასუფთავებასა და აუცილებელი წესით დეზინფექციას;

- დალაგებისა და დეზინფექციის ყოველი პროცედურის დასრულების შემდგომ გააკეთეთ შესაბამის აღნიშვნა სპეციალურ სააღრიცხვო ფორმაში;
- დისტანციური მართვის პულტები აღჭურვეთ დამცავი გამჭვირვალე პარკებით;
- ნებისმიერი ზედაპირი, რომელიც დაბინძურდა შესაძლო დაინფიცირებული პირის/პირების რესპირატორული სეკრეციის ან სხვა ორგანული სითხეების მოხვედრით, მაგ: ტუალეტი, ხელსაბანი ნიჟარა და აბაზანა - გაწმინდეთ რეგულარული საყოფაცხოვრებო სადეზინფექციო ხსნარით, რომელიც მოიცავს ნატრიუმის ჰიპოქლორიტის 0.1%-ს;
- ზედაპირები ქლორით დამუშავებიდან 10 წუთის შემდგომ მოირეცხოს სუფთა წყლით;
- მომსახურე პერსონალს ჩაუტარეთ დამატებითი ტრენინგი - სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებების გამოყენების და შენახვის წესებზე;
- მათეთრებელი საშუალების გამოყენება არ არის რეკომენდირებული ისეთ ზედაპირებზე, როგორიცაა: ტელეფონი, დისტანციური მართვის პულტი, კარის სახელური, ლიფტის ღილაკი და ა შ. აღნიშნულის დასამუშავებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველი სადეზინფექციო ხსნარი;
- არაფოროვან საწმენდ მასალებს გაუკეთეთ დეზინფექცია 0.5% ნატრიუმ ჰიპოქლორიტის ხსნარით ან სხვა ქლორის შემცველი ხსნარით, კანონმდებლობის შესაბამისად.

მოთხოვნები ვიზიტორთა მიმართ:

- ტირ-პარკის ტერიტორიაზე არსებულ დახურულ სათავსებში არ გამოცხადდეთ ნიღბისა და ერთჯერადი ხელთათმანის გარეშე;
- დაიცავით ჰიგიენის წესები.

ტირ-პარკებისა და ბენზინგასამართ სადგურებზე არსებული სანიტარიული კვანძების/საპირფარეშოების/საშხაპეების დალაგება/დეზინფექცია:

- სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, უნდა განხორციელდეს დაბინძურებისთანავე (გამოყენების შემედგომ), მაგრამ აუცილებელი წესით ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ;
- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლის მიერ სველი წერტილებით სარგებლობის შემდეგ დალაგება/დეზინფექცია განხორციელდეს დაუყოვნებლივ;
- საპირფარეშოს დალაგება ხორციელდება სველი წესით და სარეცხი საშუალებებით, წმენდის შემდგომი დეზინფექციით, სათანადო წესით:
- დასუფთავება-დალაგების პროცედურები ჩაატარეთ „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების მე-6 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) ექსპოზირებული არასამედიცინო ობიექტების დასუფთავების დროებითი რეკომენდაციები);

აკრძალულია: დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტვრისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე.

ბენზინგასამართ სადგურებზე/ტირ-პარკებში კორონავირუსზე სავარაუდო სიმპტომების მქონე პირთა მონიტორინგი:

- თუ რომელიმე ვიზიტორს აღენიშნება კორონავირუსისთვის დამახასიათებელი სავარაუდო სიმპტომი, ტირ-პარკისა და ბენზინგასამართი სადგურის პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყონებლივ აცნობოს 112-ცხელ ხაზს;
- ასეთ შემთვევაში პერსონალი უნდა მოერიდოს აღნიშნულ სტუმრებთან მჭიდრო კონტაქტს, ხოლო სტუმრისთვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გამოიყოს დროებითი

იზოლირებული ოთახი ან მოხდეს მისი დაყოვნება საკუთარ სატრანსპორტო საშუალებაში სხვა ვიზიტორებთან კონტაქტის შესამცირებლად;

- იმ შემთხვევაში, თუ პერსონალს მოუწევს აღნიშნულ სავარაუდო სიმპტომის მქონე პირთან კონტაქტი (მაგ.: საკვების მიწოდება, დალაგება), მნიშვნელოვანია დაცული იქნეს სათანადო დისტანცია და გამოიყენოს სპეციალური დამცავი აღჭურვილობა;
- იმ სიტუაციებისთვის როდესაც სავარაუდო სიმპტომის მქონე სტუმარი იმყოფება ან/და დატოვა დაწესებულება, მოქმედებს განსაკუთრებული დასუფთავების და დეზინფექციის გეგმა, რომელიც გულისხმობს ოთახის დალაგებამდე ჩატარდეს ოთახის სრული დეზინფექცია და საფუძვლიანი განიავება. მხოლოდ ამ პროცედურების შემდგომ განხორციელდეს ოთახის დასუფთავება/დალაგება.

მოთხოვნები დამსაქმებელთა მიმართ:

- დამსაქმებელი ვალდებულია თანამშრომლები აღჭურვოს სათანადო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
- ნიღაბი;
- ხელთათმანი;
- საჭიროების შემთხვევაში, დამცავი სათვალე და/ან სახის დამცავი ფარი;
- სპეციფიკური სამუშაოს შემთხვევაში - სპეცტანსაცმელი.
- თანამშრომელთა ხელმისაწვდომ, თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ სრულყოფილი ინფორმაცია ჰიგიენისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების შესახებ, მათ შორის - ხელის ჰიგიენის, ნიღბის, ბახილების და ხელთათმანის გამოყენების, აგრეთვე, მათი მორგების, ტარების მოხსნისა და მოცილების (ნარჩენების კონტეინერში განთავსება) შესახებ;
- უზრუნველყავით ნარჩენების მართვა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. არ დაუშვათ კონტეინერების გადავსება და უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება მათი დაცლისას. მოახდინეთ ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მეშვეობით;
- პერსონალს/დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს მიაწოდეთ ზუსტი ინფორმაცია დასუფთავების ჰიგიენური პრაქტიკისა და უსაფრთხო ღონისძიებების, აგრეთვე სარეცხი/სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების წესების შესახებ;
- განახორციელეთ მონიტორინგი პერსონალის მიერ დალაგებისა და დეზინფექციის პროცედურის ჯერადობასა და ხარისხზე;
- დამსაქმებელი ვალდებულია განახორციელოს მონიტორინგი ამ წესით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულებაზე.

დასაქმებულთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას, შესაბამისად, აუცილებელია სამუშაო ადგილზე განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელსაც გაწვდით დამსაქმებელი;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;

- გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები. იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 15 05 116 001